ახალგაზრდები/აქტივიზმი

განათლება

სერვისები

პარტნიორობა

№4 | ოქტომბერი-დეკემბერი | 2017

საინფორმაციო ბიულეტინი

ინოვაციური ვებ-გვერდი და აპლიკაცია მშობლებისთვის

ასოციაცია „ჰერა XXI“-ის ინოვაციური შეთავაზება მშობლებს - ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია მშობლებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ, მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარ შვილებს, ასაკის, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინებით ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული არაერთი კვლევა, მათ შორის, „ჰერა XXI“-ს მიერ ჩატარებული კვლევები, ადასტურებს, რომ ახალგაზრდები განიცდიან ინფორმაციულ დეფიციტს მათი სხეულის, სქესობრივი განვითარების, უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არასანდო წყაროებიდან მიღებული მცდარი ინფორმაციებია. ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ მოზარდებისთვის აუცილებელია აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან და მათდამი ნდობა. რეალობაში კი, ხშირად, ასე არ ხდება. ასოციაცია "ჰერა XXI"-ის მიერ შემუშავებული ინოვაციური ვებ-გვერდის - forparents.ge - მეშვეობით, მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია შვილებთან ურთიერთობის შესახებ, როგორც თემატურად, ისე მოზარდების ასაკის გათვალისწინებით. ვებ-გვერდის შექმნის მიზანია მშობლების ინფორმირება და მათი ჩართულობის გაზრდა შვილების სექსუალური თუ ფსიქოლოგიური განვითარების პროცესში, რაც, თავისთავად, ახალგაზრდების ჯანსაღ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კანონპროექტი სუროგაციის შესახებ

ასოციაცია „ჰერა XXI“-მა საქართველოს პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი „ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც გადაეგზავნა *ჯანდაცვისა* და *სოციალურ საკითხთა კომიტეტს* და *მიმდინარეობს განხილვა.*

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა მოქმედ კანონმდებლობაში ხელოვნური ჩასახვის თანამედროვე ტექნოლოგიების მარეგულირებელი ნორმის შემუშავების აუცილებლობამ.

რეპროდუქტოლოგიის სფეროში სამართლებრივი, თუ ეთიკური თვალსაზრისით რთულ და ძნელად გადასაწყვეტ საკითხთა ნუსხაში, უპირველეს ყოვლისა, სუროგაციის პრობლემის სამართლებრივი მოწესრიგება არის მნიშვნელოვანი.

კამპანიები მშობლებისთვის

9 და 10 ნოემბერს, ასოციაცია „ჰერა XXI“- ის ორგანიზებით, ახალციხესა და ქუთაისში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, სადაც 100-ზე მეტი მშობელი გაეცნო ჩვენს ახალ ვებ-გვერდს, forparents.ge- ს და მობილურ აპლიკაციას მშობლებისათვის. შეხვედრა მოიცავდა დისკუსიის ფორმატსაც, სადაც გამართა მსჯელობა მოზარდების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მენტალური განვითარების შესახებ და ამ პროცესების მშობლების აქტიური მეთვალყურეობით მიმდინარეობის სიკეთეებზე.

12 ნოემბერს კამპანიამ მშობელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ უკვე თბილისში გადაინაცვლა. სავაჭრო ცენტრ „ისთ ფოინთში“ განთავსებულ „ჰერა XXI“- ის სტენდთან ათობით მშობელმა მოიყარა თავი. ორგანიზაციის ახალგაზრდული ჯგუფის წევრები ყველა დაინტერესებულ მშობელს აწვდიდნენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, სერვისებისა და პროექტების, განსაკუთრებით კი სპეციალურად მათთვის შექმნილი საიტის- forparents.ge- სა და მობილური აპლიკაციის შესახებ. მშობლებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო - გასართობი სახის მინი- ვიქტორინაში, გამარჯვებულებს კი გადაეცათ forparents.ge- ს ბრენდირებული საჩუქრები: ჩანთები, ჭიქები, მაისურები, მანქანისა და მობილური ტელეფონის სტიკერები. ღონისძიებების შედეგად საფუძველი ჩაეყარა "ჰერა XXI"-ის ახალ ინიციატივას- „მშობელთა კლუბს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის“.

გოგონების საერთაშორისო დღე

11 ოქტომბერს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი ღონისძიება იმართება, რომლებიც მიმართულია გოგონათა უფლებებისა და შესაძლებლობების უკეთ რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ ღონისძიებებს „ჰერა XXI“ შეუერთდა. პირველი აქტივობა გულისხმობდა მინი-ვიქტორინას, სახელწოდებით - „განათლება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე აძლიერებს გოგონებს.“ ვიქტორინა ჩატარდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ღია ცის ქვეშ, სადაც ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა გამვლელებს მიაწოდეს ინფორმაცია აღნიშნული დღისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ვიქტორინის გამარჯვებულებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. საღამოს, ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა აკადემიურ სივრცეში გადაინაცვლეს და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თვითმმართველობასთან თანამშრომლობით საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა ჩაატარეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა გოგონათა დღისა და ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობისა, ახალგაზრდული ჯგუფის წევრების პრეზენტაციები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სქესი და გენდერი, ადრეული ქორწინება, ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფცია და. ა შ

ჯანსაღი ცხოვრების დღე

4 ნოემბერს, ასოციაცია „ჰერა XXI“- ს ახალგაზრდული ჯგუფი ჩაერთო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ორგანიზაცია „Helping Hand“- ის მიერ ორგანიზებულ კამპანიაში - „ჯანსაღი ცხოვრების დღე.“ კამპანიის მიზანი იყო მოზარდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობის შეხსენება და მათი დაინტერესება სპორტული აქტივობებით. ასოციაცია "ჰერა XXI" ყოველთვის უჭერს მხარს ახალგაზრდების ჯანსაღ და ჰარმონიულ განვითარებას, რადგან სწორედ ისინი არიან საზოგადოების უდიდესი ფასეულობა და უკეთესი მომავლის განარტია.

კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ასოციაცია “ჰერა XXI” შეუერთდა კამპანიას ქალთა მიმართ ძლადობის წინააღმდეგ, მესიჯით #გადავწყვიტემეთქვა. აღნიშნული კამპანია დაიწყო 25 ნოემბერს და დასრულდა 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

25 ნოემბერი უკავშირდება1960- იან წლებში დომენიკის რესპუბლიკაში სამი მეამბოხე დის მკვლელობას დიქტატორი ტრუხილოს მიერ. 1981 წელს, ამავე დღეს, მოეწყო დიდი მარში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელშიც ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალები და მათი მხარდამჭერები მონაწილეობდნენ. 1999 წლიდან უკვე გაერო ატარებს ორ კვირიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებს მოიცავს. კამპანიას ნარინჯისფერი სიმბოლოებით გამოხატავენ. სწორედ ამ ფერის გამოყენებით უცხადებენ სოლიდარობას სხვადასხვა ქვეყნები თუ ცალკეული ადამიანები ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

“ჰერა XXI”- ის მოხალისეების მიერ, კამპანიის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეგროვდა ქალთა ისტორიები ძალადობრივი გამოცდილებების შესახებ. "ჰერა XXI"-ი პოულობს და აჟღერებს იმ ადამიანების ხმას, რომელთაც განიცადეს გენდერული ნიშნით ძალადობა და სურთ საკუთარი გამოცდილება სხვათა გასაძლიერებლად გააზიარონ.

„დაამარცხე სტიგმა შიდსის მიმართ“

ასოციაცია „ჰერა XXI“- ის ერთ- ერთი სტრატეგიული მიმართულება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციაა, მათ შორის არის აივ-ინფეცია/შიდსი.

სწორედ ამიტომ, 1 დეკემბერს, „ჰერა XXI“- მა მონაწილეობა მიიღო გამოფენა- გაყიდვაში, რომელიც ზიანის შემცირების ქსელის ორგანიზებით გაიმართა შიდსის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ფაბრიკაში არსებულ საგამოფენო სივრცეში. ორგანიზაციის ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა დამთავლიერებლებს გადასცეს სიმბოლური საჩუქრები - ჭიქები და სამკერდეები - წარწერით: "დაასრულე სტიგმა შიდსის მიმართ".

შიდსის მსოფლიო დღის აღნიშვნამ საღამოს გადაინაცვლა მზიურის კაფეში, სადაც მოეწყო „ჰერა XXI“- ის ახალგაზრდული ჯგუფის მიერ ორგანიზებული ფილმის ჩვენება. ფილმმა „ასმა“, რომლის სიუჟეტი აივით ინფიცირებული ქალის ცხოვრებას ეხება, ნათლად აჩვენა დამსწრე აუდიტორიას, რა გამოწვევების წინაშე დგანან აივ-დადებითი ადამიანები.

ჩვენების შემდეგ გამართული დისკუსია ეხებოდა აივ-ინფექცია/შიდსის ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და მისი პრევენციისთვის საჭირო გამოწვევებს ჩვენს ქვეყანაში.

პროფესიული ჯგუფების განათლება

მედია სკოლა

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მისი მომიჯნავე საკითხები იმ მგრძნობიარე თემების რიგს მიეკუთვნება, რომელთა სწორად გაშუქება მედიაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და პირიქით, ინფორმაციის დამახინჯებულად და არასწორი აქცენტებით გავრცელებამ, შესაძლოა, პირიქით, გააღრმავოს არსებული სტიგმა აღნიშნული საკითხის მიმართ. სწორედ ამიტომ, „ჰერა XXI“-ის პრიორიტეტია მედიის წარმომადგენლების უნარების გაძლიერება, მათი ინფორმირება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე რათა, მათ მიერ მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტი, ადეკვატურად გადმოსცემდეს საკითხის არსს.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ასოციაციამ შეიმუშავა სასწავლო კურსი ჟურნალისტებისათვის, რომლის ფარგლებშიც ისინი გაივლიან სასწავლო კურსს- "სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები" პროექტის ფარგლებში, პირველი ტრენინგ- კურსი ჩატარდა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ამავე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების, როგორც ბაკალავრის, ისე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის. კურსი ოთხ თემატურ ტრენინგს მოიცავდა, რომელიც 1 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. წარმატებულ სტუდენტებს გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

ტრენინგი ოჯახის ექიმებისთვის

ასოციაცია „ჰერა XXI“- ის საქმიანობის ერთ- ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა. სწორედ ამიტომ, 14- 15 ოქტომბერს, ქვემო ქართლის ოჯახის ექიმებისთვის ჩატარდა სემინარი, სახელწოდებით „კონსულტირება და ოჯახის დაგეგმვის მეთოდები.“ სემინარზე ოჯახის ექიმებმა მიიღეს ინფორმაცია კონტრაცეფციისა და ოჯახის დაგეგმვის მეთოდების ევროპული გამოცდილების შესახებ. ასევე, საქართველოში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში ოჯახის დაგეგმვის მეთოდების ინტეგრირების მნიშვნელობაზე. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს „2017- 2030 წლის დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტატეგიაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახის დაგეგმვის უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიღწევას ქვეყანაში, რომელიც უნდა განხორციელდეს პირველადი ჯანდაცვის სისტემის მეშვეობით.

საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებები

შეხვედრა გოგონათა კლუბის წევრებთან

ასოციაცია „ჰერა XXI“ აქტიურად თანამშრომლობს როგორც საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე, სახელმწიფო სტრუქტურებთან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ბაზაზე შექნილი „გოგონათა კლუბის“ წევრები უკვე მესამე წელია აქტიურად არიან ჩართულები ორგანიზაციის ახალგაზრდულ აქტივობებში. 15 ნოემბერს ჩატარდა „ჰერა XXI“- ის შევხვედრა კლუბის წევრ მოზარდებთან. შეხვედრაზე გოგონები გაეცნენ „ჰერა XXI“- ის საქმიანობასა და სერვისებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდულ- მეგობრულ სერვისებსა და რეპროდუქტოლოგის უფასო კონსულტაციზე. ასოციაციის რეპროდუქტოლოგი გოგონებს ესაუბრა მათი ასაკისთვის დამახასიათებელი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე. შეხვედრის მიზანი იყო 14- 18 წლის ასაკის გოგონების ინფორმირება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთლობის საკითხებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. ასევე, იმ უნარ- ჩვევების განვითარება, რაც დაეხმარება მათ ჯანსაღ აზროვნებაში და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.

თანასწორ-განმანათლებელთა მიერ ჩატარებული ტრენინგები

2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ასოციაცია „ჰერა XXI"-ის რვა თანასწორ- განმანათლებელმა საქართველოს ოთხ რეგიონში ჩაატარა ტრენინგები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. ასოციაციის მიერ წინასწარ გადამზადებული მოხალისე ტრენერები თავიანთ თანატოლებს ესაუბრებოდნენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სექსუალური ჯანმრთელობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, რეპროდუქციული უფლებები და ადრეული ქორწინება, აივ-ინფექცია/შიდსი და მისი პრევენციის გზები და ა.შ. საინფორმაციო- საგანმანათლებლო შინაარსის 22 შეხვედრას, რომლებიც გაიმართა თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში, ასობით მოსწავლე თუ სტუდენტი დაესწრო. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საზოგადოებაში ნაკლებად განხილვად და ტაბუდადებულ თემებზე ჯანსაღი და ზუსტი ინფორმაციის მიღება მათივე თანატოლებსგან.

არაერთმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი შეუერთდეს „ჰერა XXI"-ის მოხალისეებს და აქტიურად ჩაერთოს ასოციაციის საქმიანობაში.

თანამშრომლობა შავი ზღვის უნივერსიტეტთან და ახალგაზრდული ევროპარლამანეტის მოდელირების ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო-საგანამანათლებლო შეხვევედრები

23 დეკემბერს ასოციაცია „ჰერა XXI"- ის ახალგაზრდულმა ჯგუფმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ევროპული ახალგაზრდული ცენტრის მოწვევით, ჩაატარა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე. შეხვედრა შედგა მეხუთე მოწვევის ახალგაზრდული ევროპარლამენტის მოდელირების ფარგლებში, სესიის მონაწილე მოსწავლეებთან და სტუდენტებთან.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში, მონაწილეთა აქტიური ჩართულობით წარიმართა. ახალგაზრდები საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით მსჯელობდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ჩვენს საზოგადოებაში. ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა აუდიტორიას გააცნეს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების არსი, მიმოიხილეს საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტები, ორგანიზაციის საქმიანობა, სერვისები და პროექტები.

მსგავსი შეხვედრების შემდეგ, ორგანიზაციის მოხალისეთა ბაზა სულ უფრო და უფრო იზრდება. ასოციაცია ღიაა ყველა იმ ახალგაზრდისთვის, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის ღირებულებებს და დაინტერესებულია და/ან სურს მეტი გაიგოს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ბოლო კვარტალში ასოციაცია ჰერა ოცდაერთის გადაცემა "ალტერნატიული აზრი" აქტიურად შეეხეო ისეთ თემებს როგორიცაა: ადრეულ ასაკში ქორწინება, მედიის როლი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების გაშუქებაში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017- 2030 წლების ეროვნული სტრატეგია და პირველადი ჯანდაცვის სისტემის როლი და მნიშვნელობა, ფემიციდი, ახალგაზრდების საჭიროებები საქართველოში, სექსუალური განათლების მნიშვნელობა, C-ჰეპატიტი, აივ-ინფექცია/შიდსი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები და ა შ.

გადაცემა ალტერნატიული აზრის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს სრულყოფილი, ამომწურავი, ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე. "ალტერნატიული აზრი" ყოველ შაბათს 18:00-ზე ტელეკომპანია აფხაზეთის ხმის ეთერით გადაიცემა.

სერვისები

ასოციაციაში წლებია ფუნქციონირებს ახალგაზრდული მეგობრული სერვისები, რომელიც გულისხმობს მეგობრულ და კომფორტულ გარემოში უფასოდ, ანონიმური და კონფიდენციალური სერვისების მიწოდებას.

ეს სერვისებია ექიმი რეპროდუქტოლოგის პირადი კონსულტირება, ექიმი რეპროდუქტოლოგის ონლაინ კონსულტირება; იურიდიული ცხელი ხაზი.

ორგანიზაციაში არსებული სერვისებით ყოველწლიურად 15-45 წლამდე 10000-ზე მეტი ადამიანი სარგებლობს.

ასოციაციას ყავს პარტნიორი კლინიკები იმერეთის, სამეგრელოს და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. პარტნიორ კლინიკებში ფერტილური ასაკის მოსახლეობისთვის, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი, სოფლად და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი ხარისხიანი მომსახურებები: კონსულტირება ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე, კონტრაცეფციის მიწოდება, უსაფრთხო აბორტის სერვისი, აბორტის პროცედურამდე და პროცედურის შემდგომი კონსულტირება.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ განათლებაზე

6- 8 დეკემბერს. ასოციაცია „ჰერა XXI“- ს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო წულეისკირი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი მარიკა სიხარულიძე დანიის ოჯახის დაგეგმვის ასოციაციის მოწვევით (DFPA), ვიზიტით იმყოფებოდნენ კოპენჰაგენში, სადაც გაეცნენ სკოლებში სექსუალური განათლების (განათლება ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე) საკითხების სწავლების დეცენტრალიზებულ მიდგომებს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დარგის ექსპერტებთან, ადგილობრივი და ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან. ქართულ დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა რიგით საგანმანათლებლო სესიას.

ვიზიტი გაიმართა პროექტის- „პარტნიორობა ყოვლისმომცველი სექსუალური განათლებისთვის საქართველოში“ - ფარგლებში, რომელსაც ასოციაცია „ჰერა XXI“ 2017 წლიდან ახორციელებს.

პარტნიორობა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან

ასოციაცია „ჰერა XXI“ ხელს უწყობს ახალგაზრდა ლიდერების ფორმირებას, პროფესიულ განვითარებასა და მათ ჩართვას ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებსა და კამპანიებში. ამ მიმართულებით ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა მეტ სტუდენტს მიეცეს ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

2017 წლის დეკემბერში, ასოციაცია „ჰერა XXI“- სა და საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზების მიმართულებით. წარმატებული ახალგაზრდა სპეციალისტების ასოციაცია „ჰერა XXI“- ს პროფესიული სტაჟირების პროცესში ჩართავს სამომავლო დასაქმების პერსპექტივით. ასოციაცია „ჰერა XXI“, ასევე, უზრუნველყოფს ორგანიზაციის პროექტებში, ტრენინგებში, სასწავლო პროგრამებში, საინფორმაციო- საგანმანათლებლო შეხვედრებსა და კონფერენციებში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას.

თანამშრომლობა ილიაუნთან და მონაწილეობა დასაქმების ფორუმში

ასოციაცია „ჰერა XXI“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

17 ნოემბერს, ასოციაცია „ჰერა XXI“-მა მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაქმების კვირეულის შემაჯამებელ ღონისძიებაში. სხვადასხვა საფეხურისა და მიმართულების სტუდენტები გაეცნენ ასოციაცია "ჰერა XXI"-ს საქმიანობას, სერვისებს, პროექტებსა და ორგანიზაციაში მოხალისეობისა თუ სტაჟირების შესაძლებლობებს.

მათ განემარტათ რომ, ასოციაცია ღიაა ყველა იმ ახალგაზრდისთვის, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის ღირებულებებს და დაინტერესებულია და/ან სურს მეტი გაიგოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე.



საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ.

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს HERA-YOUTH.GE ან სოციალურ ქსელ FACEBOOK-ზე ASSOCIATIONHERAXXI

და გაიგეთ მეტი ჰერა XXI-ს შესახებ უფრო მეტი ყოველდღიურ რეჟიმში